გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ასმათ ტალახაძის

2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის

ანგარიში

2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 20 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 318 საკითხის განხილვაში. ასევე დავესწარი ბიუროს 36 სხდომას და 507 საკითხის განხილვაში მივიღე მონაწილეობა.

გაერთიანებული ვარ ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოში". დავესწარი ფრაქციის 6 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 62 საკითხის განხილვაში.

ვარ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე. ჩავატარე კომისიის 15 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 22 საკითხის განხილვაში.

ასევე 2022 წლის დეკემბრის ჩათვლით ვიყავი სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრი. დავესწარი სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 17 საკითხის განხილვაში.

მოგახსენებთ, რომ ჩემს მაჟორიტარულ ოლქში შედის გორის მუნიციპალიტეტის 12 სოფელი: მეჯვრისხევი, ზერტი, კვარხეთი, ფაბრიკის დასახლება, ახალუბანი, აძვი, ჯარიაშენი, მუმლაანთ კარი, ქვეში, ქვემო არცევი, ახრისი, ციცაგიაანთ კარი.

თითოეულ სოფელში შევხვდი მოსახლეობას მერის წარმომადგენლებთან ერთად სოფლის პროგრამისა და სამოქალაქო ბიუჯეტით გამოყოფილი თანხებით პროექტების შესათანხმებლად. ყოველდღიურ რეჟიმში მიწევს მოსახლეობასთან ინდივიდუალური პროლემების მოსმენა და მათთვის ცნობიერების ამაღლება არსებული პრობლემის მოსაგვარებლად.

მივიღე მონაწილეობა სამოქალაქო ბიუჯეტის განხილვის პროცესში და ასევე მოვისმინე გამარჯვებული პროექტების ანგარიშიც.

აქტიურად ვესრებოდი გენდერული საბჭოს სხდომებს, სადაც განხილული იქნა სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში გასვლითი შეხვედრების დროს გამოვლენილი პრობლემების შესახებ, ასევე განხილული იქნა გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში ჩასატარებელი ღონისძიებებეის შესახებ.

სისტემატიურად ვთანამშრომლობ ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მასმედიის საშუალებებთან მთელ რიგ

პრობლემებთან დაკავშირებთ. ჩართული ვარ მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით შექმნილ სამუშაო ჯგუფებში მათ შორის: სამოქალაქო ბიუჯეტირების სამუშაო ჯგუფში, სადაც აქტიურად ვიღებ მონაწილეობას ბიუჯეტის ფორმირებაში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ასმათ ტალახაძის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

სოფ. მეჯვრისხევი **2023 წლის 20 ოქტომბერი**

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარე მოადგილე: თამარ მურალოვა;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: ასმათ ტალახაძე;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: მეჯვრისხევის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი ირინა შენგელია.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარე თამარ მურალოვა;

დღის წესრიგი

საკრებულოს წევრის ასმათ ტალახაძის 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე განვლილ პერიოდიში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი ასმათ ტალახაძე და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის სწესრიგის მიხედვით სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს ასმათ ტალახაძეს რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე განვლილ პერიოდიში მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსხალეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა

ინფრასტუქტულულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა ასმათ ტალახაძემ აღნიშნა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომელის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: მარლენ ნადირაძემ, ელზა გინტურმა, კახაბერ მღებრიშვილმა და ელიზა იარადალაშვილმა.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთ თანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: **თამარ მურალოვა;**

საკრებულოს წევრი : **ასმათ ტალახაძე.**